**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** მ. კ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 17.05.2023

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** №044/23

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ი. ზ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი:**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 17 მაისს საჩივრით მომართა მ. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. ზ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიის აპარატის მიერ 2023 წლის 12 ივნისს ეცნობა საპროცესო კოლეგიის სხდომის თარიღი, თუმცა საჩივრის ავტორი არ დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას და არც გამოუცხადებლობაზე საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ უცნობებია ეთიკის კომისიისათვის.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით მიმართა ნ. შ.-მ, რომელიც ითხოვს მათ შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას (საქმე N2/1391-23). ამავდროულად, ნ. შ.-ს

განცხადების საფუძველზე, თაღლითობის ბრალდებით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე N007110123006. საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოთ აღნიშნულ დავაში, ნ. შ.-ს ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ი. ზ., რომელიც დღემდე ითვლება მომჩივანის ადვოკატად, 2022 წლის 02 დეკემბერს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ ი. ზ.-ს მინდობილობა სწორედ იმ მიზნით გაუფორმა, რომ ადვოკატისაგან სამართლებრივი დახმარება მიეღო სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. ზ.-მ მოიპოვა მისი ნდობა, მოტყუებით გააფორმებინა მინდობილობა და მოიპოვა ნ. შ.-სათვის საჭირო ინფორმაცია, რის შემდეგაც სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებაში ჩაერთო მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების სასარგებლოდ, რითიც ზიანი მიაყენა საჩივრის ავტორების ინტერესებს.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა ი. ზ.-მ 2023 წლის 24 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ საჩივარში აღწერილი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ი. ზ. დაესწრო 2023 წლის 6 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა მის მიერ წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის ნ. შ.-ს 2016 წლიდან იცნობს და გარდა საქმიანი ურთიერთობისა მასთან მეგობრობაც აკავშირებს. ადვოკატმა დააზუსტა, რომ მ. კ.-ზეც სწორედ ნ. შ.-მ მიაწოდა ინფორმაცია, კერძოდ, ნ. შ.-ს 2019 წლიდან ჰქონდა მიმდინარე სამოქალაქო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში არამართლზომიერი მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე. დავა დასრულდა ნ. შ.-ს სასარგებლოდ და 2020 წელს ნ. შ.-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო საქმის წარმოების მიზნით. აღნიშნულ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში ნ. შ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ი. ზ.. ადვოკატის განცხადებით, პანდემიის გამო, 2022 წელს, აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღნიშნული საქმე კვლავ მიმდინარე იყო. დასახელებული დროის მონაკვეთში ნ. შ.-სა და მ. კ.-ს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. მ. კ. დაპირდა ნ. შ.-ს, რომ ის მარტივად შეძლებდა გამოესახლებინა ბინიდან იქ უკანონოდ მყოფი პირები, რისთვისაც საჭირო იყო სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დარეგისტრირებულიყო მ. კ.-ის სახელზე. ნ. შ.-მ უძრავი ქონება გადაუფორმა მ. კ.-ს, რაც ტელეფონით აცნობა ადვოკატს და სთხოვა დახმარება, რომ სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის მ. კ.-ის უფლებამონაცვლედ ცნობაზე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული სამართლებრივი საკითხის მოსაგვარებლად მან ინფორმაცია მიაწოდა ნ. შ.-ს, რომ აუცილებელი იქნებოდა მ. კ.-ს მისთვის მინდობილობის გაეფორმებინა და კონკრეტული ტექსტი უკარნახა ნ. შ.-ს - „აუცილებლად ჩაწერეთ სტანდარტულში, რომ უფლებამონაცვლის დადგენისათვის განცხადების შეტანა, განჩინების აღება, სააღსრულებო ფურცლის აღება და წარდგენის უფლება და წარდგენის უფლება მქონდეს“. ადვოკატი განმარტავს, რომ მინდობილობის მიღების შემდეგ მან, ნ. შ.-სგან მიღებული მითითების შესაბამისად, განცხადებით მიმართა აღსრულების

ეროვნულ ბიუროსა და საქალაქო სასამართლოს. აღნიშნული მოქმედებების შემდეგ, მან შეტყობინება გაუგზავნა საჩივრის ავტორს და მიაწოდა ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, აცნობა, რომ ის ფლობდა ინფორმაციას მ. კ.-ის ადვოკატის შესახებ და განუმარტა, რომ სხვა საპროცესო მოქმედებები დამოუკიდებლად ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით შეეძლო განეხორციელებინა. სხვა მოქმედებები ადვოკატს არ განუხორციელებია. ადვოკატმა დააზუსტა, რომ მისი ყველა ქმედება გამომდინარეობდა კლიენტის - ნ. შ.-ს ინტერესებიდან და სადავო საქმეშიც მისი მონაწილეობა ემთხვეოდა დროის იმ მონაკვეთს, როცა ნ. შ.-სა და მ. კ.-ს საერთო ინტერესები ჰქონდათ. ადვოკატის განმარტებით, ის არასდროს ყოფილა მ. კ.-ის ადვოკატი და არასდროს შეხვედრია მას ან უსაუბრია მასთან, მიუხედავად ამისა, მას შემდეგ რაც მიიღო ინფორმაცია, რომ მ. კ.-ს პრეტენზია ჰქონდა ნ. შ.-სთან და თვითონ ადვოკატთანაც, მან შეწყვიტა წარმომადგენლობა ნ. შ.-ს ყველა საქმეზე და მიმართა ნოტარიუსს ნ. შ.-სა და მ. კ.-ის მიერ მასზე გაცემული მინდობილობების გაუქმების მოთხოვნით. ადვოკატმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ის არ წარმოადგენს მ. კ.-ის ადვოკატს და სასამართლოს მხარის პოზიცია უშუალოდ მხარესთან უნდა დაეზუსტებინა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მისი ქმედებით მ. კ.-ს ზიანი არ მისდგომია. მას, გარდა, გადაწყვეტილების 2.3 პუნქტში მითითებული შემთხვევებისა, არსად გამოუყენებია საჩივრის ავტორისაგან მიღებული ინფორმაცია, ბოროტად არ უსარგებლია მინდობილობით და არავითარი ინფორმაცია ასეთი გზით არ მოუპოვებია.

2.4 ადვოკატმა ი. ზ.-მ 2023 წლის 6 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა შუამდგომლობა მოწმე ნ. შ.-ს გამოკითხვის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა კოლეგიის მიერ.

**3. საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმის - ნ. შ.-ს განმარტება:**

3.1 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 17 ივლისის სხდომაზე, საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიკითხა მოწმე ნანა შამათავა. მოწმის განმარტებით, მან 2020 წელს სოციალური ქსელის საშუალებით გაიცნო მ. კ., რომელთანაც მალე ჩამოუყალიბდა ახლო მეგობრული ურთიერთობა. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მ. კ.-სთან ერთად დააფუძნა კომპანია და წამოიწყო ბიზნესიც. აღნიშნულ პერიოდში, მან მ. კ.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ვერ ახერხებდა შემენილი უძრავი ქონებიდან არაუფლებამოსილი პირების გამოსახლებას. მოწმის განმარტებით, მ. კ.-მა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ვინაიდან მას ჰქონდა რუსეთის მოქალაქეობა, ვერ შეძლებდა სამართლებრივი პროცედურების ჯეროვნად განხორციელებას. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, თუ უძრავ ქონებას მ. კ.-ის სახელზე გააფორმებდნენ და ის უზრუნველყოფდა არაუფლებამოსილი მფლობელების უძრავი ქონებიდან გამოსახლებას, რასაც ნანა შამათავა დათანხმდა, თუმცა მ. კ.-ის პირობა არ შეუსრულებია. მოწმის განმარტებით, მ. კ.-მა გაფლანგა მათ საერთო კომპანიაში მის მიერ განხორციელებული ინვესტიცია - 260000 ლარი და ამჟამად მათ შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა.

3.2 ნ. შ.-მ დაადასტურა, რომ მისი ადვოკატი წლების განმავლობაში იყო ი. ზ., რომელსაც ტელეფონის საშუალებით აცნობა, რომ გაყიდა უძრავი ქონება და სთხოვა დახმარება, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიმდინარე სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორად ჩართულიყო მ. კ..

ადვოკატისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ ამისათვის საჭირო იქნებოდა სასამართლოს გზით უფლებამონაცვლეობის დადგენა და მინდობილობის გაფორმება. მათი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მ. კ.-მა ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა. მოწმემ განმარტა, რომ მ. კ. ადვოკატ ი. ზ.-ს არასდროს შეხვედრია ან/და უსაუბრია მასთან და მინდობილობა გაფორმდა მისი ჩართულობით. ი. ზ. არ ყოფილა საჩივრის ავტორის ადვოკატი და ის საპროცესო მოქმედებებს ახორციელებდა მხოლოდ იმ დროს, როცა მასსა და მ. კ.-ს ჰქონდათ საერთო ინტერესები. მოწმის განმარტებით, აპრილის თვიდან ი. ზ. არც ერთ საქმეში აღარ წარმოადგენს მის ადვოკატს და ახლა მის ინტერესებს იცავს ადვოკატი იზა ბეროშვილი.

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

4.1 ადვოკატი ი. ზ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები.

4.2 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 17 მაისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

**5. შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**6. სამართლებრივი შეფასება:**

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ისარგებლა კლიენტის მინდობილობით, მოიპოვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რის შემდეგაც საქმეში ჩაერთო როგორც მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი.

6.2 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ი. ზ.-ის ქცევა შეამოწმა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.“

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც

ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

6.3 „კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართ. ეს ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდება კლიენტის/პოტენციური კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კონფიდენციალობა არის ერთ-ერთი იმ ვალდებულებათაგანი, რომელიც ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებამდე წარმოეშობა, ისევე როგორც ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება“ (სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, გადაწყვეტილება N062/19, 8.3).

6.4 „ინტერესთა კონფლიქტის დროს ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობს ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (ეთიკის კომისიის 09.06.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N092/10).

6.5 „ინტერესთა კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლებელია არსებობდეს: (1) ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის; (2) ადვოკატსა და კლიენტს შორის; (3) ადვოკატის ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ და/ან პოტენციურ კლიენტს შორის; და (4) ადვოკატის კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები“ (ეთიკის კომისიის 30.06.2020 წლის რეკომენდაცია, N003/20).

6.6 „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 13.06.2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N046/13).

6.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც მხარე დაობს ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ეთიკური სტანდარტების დარღვევაზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი

მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

6.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

6.9 ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას, მხარეებმა ურთიერთსაპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ზ. თავდაპირველად მის ინტერესებს წარმოადგენდა და კლიენტისაგან ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ადვოკატმა დაიწყო მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა. საჩივრის ავტორის პოზიციას არ დაეთანხმა ადვოკატი და განმარტა, რომ ის სადავო საქმეში ჩაერთო მხოლოდ იმ დროს, როცა მის კლიენტს - ნ. შ.-სა და საჩივრის ავტორს ჰქონდათ საერთო ინტერესები და მის კლიენტს წარმოადგენდა მხოლოდ ნანა შამათავა.

6.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მხარისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას ავტომატურად არ იგულისხმება, რომ ადვოკატი, ნებისმიერ საქმეზე, მომსახურებას ვერ გაუწევს კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს. ასეთ დროს ადვოკატი ვალდებულია შეაფასოს საქმეთა გარემოებები და დავების სამართლებრივად დაკავშირებულობის საკითხი. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატი ი. ზ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. შ.-ს. ადვოკატი ი. ზ. საპროცესო მოქმედებებს მ. კ.-ის სახელით ახორციელებდა მხოლოდ იმ დროს, როცა საჩივრის ავტორსა და მ. კ.-ს ჰქონდათ საერთო ინტერესები და ორივე მხარეს სურდა სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დაერეგისტრირებინა მ. კ.-ს, რის საფუძველზეც სააღსრულებო წარმოებაში ნ. შ.-ს (კრედიტორს) ჩაანაცვლებდა საჩივრის ავტორი. შესაბამისად, ი. ზ.-ის ქმედება, რაც გამოიხატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში მ. კ.-ის სახელით განცხადებების წარდგენაში, სრულად შეესაბამებოდა როგორც ნ. შ.-ს, ისე, მ. კ.-ის ინტერესებს, რაც არ წარმოადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების საწინააღმდეგო მოქმედებას. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ნ. შ.-სა და მ. კ.-ს შორის უთანხმოების გაჩენის შემდეგ, ადვოკატი კვლავ მოქმედებდა მ. კ.-ის სახელით და ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს ან/და მ. კ.-ის მიერ მისთვის 2022 წლის 02 დეკემბერს გაფორმებული მინდობილობით აგრძელებდა სარგებლობას. ამავდროულად, ადვოკატმა ი. ზ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა

მტკიცებულება, რაც ადასტურებს ადვოკატის ახსნა-განმარტებაში მითითებულ ფაქტს, რომ მან შეწყვიტა ჯერ საჩივრის ავტორის, ხოლო მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემდეგ კი, ნ. შ.-ს წარმომადგენლობა. კერძოდ, ადვოკატმა 2023 წლის 18 მაისს მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული მოქმედებების თაობაზე და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ის წყვეტდა მისი სახელით მოქმედებას და საქმეზე სხვა პროცედურებში მონაწილეობა მ. კ.-ს თავად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით უნდა მიეღო. 2023 წლის 27 აგვისტოს კი წერილობით მიმართა ნოტარიუს ეკატერინე კიცს და მოითხოვა მ. კ.-ის მიერ მის მიმართ 2022 წლის 2 დეკემბერს გაცემული მინდობილობისა და ნ. შ.-ს მიერ მის მიმართ 2022 წლის 22 დეკემბერს გაცემული მინდობილობის გაუქმება.

6.11 საპროცესო კოლეგია დამატებით განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარემ გამოხატოს თანხმობა კერძოდ, ადვოკატს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კონსულტაციის მიღების მსურველი პირისგან, რომ სურს მიიღოს მისი საადვოკატო მომსახურება და თავის მხრივ, ადვოკატმა უნდა გამოხატოს ნება და მკაფიო თანხმობა, რომ ის იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას გაუწიოს საადვოკატო მომსახურება პირს, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2019 წლის რეკომენდაცია №001/19). შესაბამისად, მხოლოდ უვადო მინდობილობის გაცემით, ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების ფაქტი და შეთანხმების ფარგლები ვერ დადასტურდება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი დგინდება, რომ ადვოკატ ი. ზ.-ს საჩივრის ავტორისა და მისი მოწინააღმდეგე მხარის - ნ. შ.-ს ინტერესების სასარგებლოდ გარკვეული ქმედებები აქვს განხორციელებული დროის იმ მონაკვეთში, როცა მხარეებს საერთო ინტერესები ამოძრავებდათ და ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები სრულად შეესაბამებოდა ორივე მათგანის ინტერესს, რის შემდეგაც ადვოკატი იცავდა მხოლოდ ნ. შ.-ს ინტერესებს და ჩამოშორდა მ. კ.-ის წარმომადგენლობას. ხოლო მას შემდეგ, რაც ადვოკატმა მიიღო ინფორმაცია ნ. შ.-სა და მ. კ.-ს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობაზე, მან დაუყოვნებლივ მოითხოვა ორივე მათგანის მიერ გაცემული მინდობილობის გაუქმება, რაც სრულად შეესაბამება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტებს.

6.12 ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას, მ. კ.-ს, გარდა წერილობითი პოზიციისა, არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც გააბათილებდა ადვოკატის განმარტებასა და მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება, რომ ადვოკატი ი. ზ. მ. კ.-ის ინტერესებს იცავდა დროის იმ მონაკვეთში, როცა მასსა და ნ. შ.-ს საპირისპირო ინტერესები გააჩნდათ და ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები.

6.13 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადგილი არ აქვს „ადვოკატთა შესახებ 8.2 და პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1, 6.1 მუხლების დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

**III სარეზოლუციო ნაწილი**

1. დისციპლინურ საქმეზე №090/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/